

რეგულაციის გავლენის შეფასების (RIA) სისტემის გამოწვევები საქართველოში

გიორგი ნასრაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და
ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დიმიტრი ჯაფარიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2018

სარჩევი

აბრევიატურების ჩამონათვალი	iii
აბსტრაქტი.....	1
Abstract.....	2
პოლიტიკის შემუშავების პროცესის პრობლემები და საჯარო მმართველობის რეფორმა საქართველოში	3
რა არის RIA?	13
RIA-ს ეფექტურობის/წარმატების წინაპირობები.....	22
RIA-ს მანდატი და ინსტიტუციური ჩარჩო	25
რა სირთულეები შეხვდა სხვა მსგავს ქვეყნებს RIA -ს დანერგვისას?	27
RIA-ს დანერგვის გამოწვევები განვითარებად ქვეყნებში	29
კვლევის მეთოდოლოგია	34
RIA-ს მოდელი და მისი დანერგვის გამოწვევები საქართველოში.....	37
რა შეიძლება შეცვალოს RIA-მ - პოლიტიკის შემუშავების პროცესის არსებული ხარვეზები.....	40
RIA-ს შედეგად გამოწვეული ცვლილებების მოლოდინი	45
RIA-ს დანერგვის შემაფერხებელი ფაქტორები.....	47
საქართველოსთვის შესაბამისი RIA-ს ინსტიტუციური მოდელი.....	52
დასკვნები და რეკომენდაციები	56
ბიბლიოგრაფია	60
დანართი	63

აბრევიატურების ჩამონათვალი

RIA - რეგულაციის გავლენის შეფასება; (ასევე შეიძლება, საკანონმდებლო ზეგავლენის შეფასება ან რეგულაციის ზეგავლენის შეფასება)

ეუთო - ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

OECD - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი იკვლევს საქართველოში პოლიტიკის შემუშავების პროცესში რეგულაციის გეგმვის შეფასების (RIA) სისტემის დანერგვის სირთულეებს. ეს მექანიზმი, გარკვეულწილად, პასუხია იმ პრობლემებზე, რომლებიც საქართველოში კანონმდებლობის პროცესს ახასიათებს და რომლებსაც ხელისუფლებაც აღიარებს. ამის მიუხედავად, RIA-ს დანერგვა დაგეგმილ ვადაში - 2017 წელს არ მოხდა და მასთან დაკავშირებული დეტალები ამჟამად განხილვის სტადიაზეა.

აქედან გამომდინარე, ნაშრომი საკითხის მრავალმხრივი გამოკვლევის გზით ცდილობს შეისწავლოს ის წინააღმდეგობები და პრობლემები, რაც RIA-ს სისტემის დანერგვასა და ეფექტიან მუშაობას ხდება. ამისთვის გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, სიღრმისეული ინტერვიუები პროცესში ჩართულ მხარეებთან, დოკუმენტების ანალიზი და მესამეული წყაროების შესწავლა. ნაშრომის საკვლევი კითხვაა: რა ფაქტორები აფერხებს საქართველოში RIA-ს სისტემის დანერგვას? ხოლო კვლევის საფუძველზე შემუშავებული ჰიპოთეზაა, რომ საქართველოში RIA-ს სისტემის დანერგვის მთავარი გამოწვევები ხელისუფლების არასაკმარისი პოლიტიკური ნება, არასათანადო კვალიფიკაციის ადამიანური რესურსი და კვლევისთვის საჭირო მონაცემების/სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობა/არასათანადო ხარისხი არის.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში RIA-ს სისტემის დანერგვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს შორის როგორც კვალიფიციური ადამიანური რესურსის ნაკლებობა, ასევე კვლევისთვის საჭირო მონაცემების ხელმისაწვდომობა და ხელისუფლების მხრიდან არასაკმარისი პოლიტიკური ნების არსებობა.

RIA-ს დანერგვისა და ეფექტიანობის გამოწვევების საპასუხოდ, ნაშრომი წარმოადგენს რეკომენდაციებს საქართველოსთვის შესაბამისი ინსტიტუციური ჩარჩოს, გარდამავალ ეტაპზე გადასადგმელი ნაბიჯებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: რეგულაციის გეგმვის შეფასება, RIA

Abstract

The presented paper examines the challenges of introduction of Regulation Impact Assessment (RIA) system in Georgia's policy making process. To some extent, this mechanism is an answer on the problems that Georgia's legislative process faces and that are recognized from the government. Despite this recognition, RIA was not introduced in 2017, by the time it was planned. The details related to this decision are still under consideration.

Therefore, through examining the topic from different perspectives the presented work tries to research the obstacles and problems that are hindering introduction and effectiveness of RIA system in Georgia. For this purpose, the paper uses qualitative research methods, in-depth interviews with the stakeholders, document analysis and study of the tertiary sources. The research question is: which factors are challenging the introduction of RIA system in Georgia? Based on the research the hypothesis in the paper is that main challenges of introduction of RIA are insufficient political will/support, inadequate qualification of human resources and inappropriate quality of data/statistical information required for research.

The research revealed that among the challenges of introduction of RIA system in Georgia, there are the lack of qualified human resources, inaccessibility of data required for research and insufficient political will.

In a response to the challenges described in this work, the paper suggests recommendations on the proper institutional framework of RIA in Georgia, also on the measures to be taken in the transitional period and issues related to quality control mechanisms.

Keywords: Regulation Impact Assessment, RIA